



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდი ოყარი



დიდი ოყარი

დიდი ოყარი, დ ი დ ი თ ე თ რ ი ყ ა ნ ჩ ა (*Egretta alba*), ფრინველი ლაკლაკისნაირთა რიგისა. გავრცელებულია სამხრ.-აღმ. ევროპაში, აზიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სამხრ. აფრიკაში, მადაგასკარზე, ჩრდ. ამერიკის სამხრ. ნაწილში, სამხრ. ამერიკაში. საქართველოში მეტად იშვიათია, გვხვდება ცალკეული წყვილების სახით მესხეთ-ჭავჭავთში, სამეგრელოში, როგორც მობუდარი გადამფრენი ფორმა. აღის ზ. დ. 1800 მ-მდე. ბატყე ოდნავ დიდია. აქვს თეთრი ბუმბული, თვალების ირგვლივ – ყვითელი რგოლი, შავი ფეხები, შავი ნისკარტი ყვითელი ფუძით. ბინადრობს მთის ტბებზე, რ-ებიც ლელქაშითა და ლერწმითაა გარშემორტყმული, დაჭაობებულ ადგილებში. იკვებება თევზებით, წყლის მწერებით, იშვიათად ბაყაყებით, მღრღნელებით. ბუდეს იკეთებს მინაზე – ნაყარ ლერწამზე, იშვიათად – ხეზე (ტირიფზე). ბუდეს შებრუნებული კონუსის ფორმა აქვს. დებს 3-4 (იშვიათად 5) მომწვანო-ცისფერ კვერცხს. მორიგეობით კრუხობს ორივე მშობელი. XIX ს-ში და XX ს. დასაწყისში დიდი მოთხოვნილება იყო მის ლამაზ

თეთრ ბუმბულზე (ეგრეტკებზე), რის გამოც დიდი რაოდენობით ფრინველი ნადგურდებოდა. ამჟამად დ. ო. დაცულია, შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. ცნობილია დ. ო-ის რამდენიმე ქვესახეობა, რ-თაგან საქართველოში გვხვდება ჩრდილოური დიდი თეთრი ყანჩა (*E. alba*).

